

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„მ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

06 10 2017 წელი

ეგზ. №1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00), „განათლების“ (პროგრამის კოდი 04.00), „კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ (პროგრამის კოდი 05.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 52/36

2017 წელი

## სარჩევი

|                                                                                                   |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შემაჯამებელი მიმოხილვა.....                                                                       | 3  |
| რეკომენდაციები.....                                                                               | 5  |
| შესავალი.....                                                                                     | 6  |
| აუდიტის ობიექტის აღწერა.....                                                                      | 8  |
| ძირითადი ტექსტი .....                                                                             | 10 |
| 1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01.00).....         | 10 |
| 2. შესყიდვების მართვა .....                                                                       | 13 |
| 3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამის კოდი 03.00).....           | 16 |
| 4. განათლება (პროგრამის კოდი 04.00).....                                                          | 25 |
| 5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამის კოდი 05.00)                    | 25 |
| 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები..... | 27 |
| 6.1 ორგანიზაციის ბალანსი.....                                                                     | 28 |
| 6.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები .....                                                        | 29 |
| 6.3 ვალდებულებები .....                                                                           | 29 |
| 6.4 ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით .....                                    | 31 |
| 6.5 ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ .....                              | 33 |
| 6.6 წმინდა ღირებულება.....                                                                        | 34 |
| 6.7 ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ .....                  | 35 |
| 6.8 ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ .....                                  | 35 |
| 6.9 ბალანსის დანართი ფორმები .....                                                                | 36 |
| 6.10 ინვენტარიზაცია .....                                                                         | 36 |
| სხვა საკითხების აზიზაცია .....                                                                    | 37 |
| აუდიტის დასკვნა.....                                                                              | 38 |
| ორგანიზაციის ბალანსი.....                                                                         | 39 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....                                                         | 51 |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები .....                                                         | 51 |

## შემაჯამებელი მიმოხილვა

2015 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გამგებლის ბრძანებებით გაიცა 97.9 ათასი ლარის დანამატი. გაცემის საფუძვლად მითითებულია აღდგომის, გიორგობისა და ახალი წლის დღესასწაულები. ამ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა დანამატის გაცემას აღნიშნული მოტივით არ ითვალისწინებდა. მუნიციპალიტეტმა ხარვეზი გამოასწორა 2016 წელს. კერძოდ, სამართლებრივი აქტების შესაბამისად, დანამატი გაიცა საჯარო მოხელეების ზეგანაკვეთური მუშაობისათვის.

2016 წელს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს, თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ 24.6 ათასი ლარი. ასიგნებები გამოყოფილია ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა 2015-2016 წლებში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ველში 291 ხელშეკრულებიდან არასრულად ატვირთა 211 ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და სხვა დოკუმენტები. გარდა ამისა, 64 ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს „შეუსრულებელი ხელშეკრულების“ სტატუსი, როცა თანხები სრულადაა ანაზღაურებული და ხელშეკრულების მოქმედების ვადაც ამოწურულია.

2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდა 3138.7 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაო. მიმწოდებლებისათვის თანხის ანაზღაურების დროს მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ და ანგარიშსწორებას ახორციელებდა წარმოდგენილი ფორმა №2-ების შესაბამისად.

2015 წელს მუნიციპალიტეტმა, 5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის, არ გამოიყენა საჯარიმო სანქციების გავრცელების შესაძლებლობა. შესაბამისად, მიმწოდებლებზე არ არის დარიცხული 8.8 ათასი ლარის ჯარიმა.

2015 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ოქროყანაში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაო. მიწოდების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 25 დეკემბერი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტმა ვერ შეასრულა ხიდზე მოსაწყობი არსებული ფოლადის მილების მიწოდების ვალდებულება. სამუშაო დაუსრულებელი იყო აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშიც. შესაბამისად, 32.4 ათასი ლარი დაიხარჯა ისეთ პროექტზე, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

2016 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 3.8 ათასი ლარის ღირებულების კერამიკული ფილები, სოფელ კარკუჩის სარიტუალო სახლისთვის. ფილები არ არის მოწყობილი და დასაწყობებულია სარიტუალო სახლის შენობაში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, 2015 წელს განახორციელა 3 შესყიდვა, საერთო ღირებულებით 31.1 ათასი ლარი. შესყიდვის საშუალებად გამგეობამ გამოიყენა გამარტივებული შესყიდვის ფორმა. აღნიშნული შესყიდვები არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან შესაძლებელი იყო მათი წინასწარი დაგეგმვა და ტენდერის გამოყენება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის სამართლებრივი აქტით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერით. მიუხედავად ამისა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წელს 3 ხელშეკრულებისათვის, ღირებულებით 7.7 ათასი ლარი, გამოიყენა გამარტივებული შესყიდვა.

2015 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ტყარშეტის რიტუალების სახლის სარემონტო სამუშაოები. ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ დაზიანებულია შენობის ჭერი. კერძოდ, კონსტრუქცია დეფორმირებულია და ცალკეული დეტალები საჭიროებს ხელახლა მოწყობას.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის დაცული საბალანსო ტოლობა (აქტივები=ვალდებულებებს+კაპიტალი), რაც გავლენას ახდენს მთლიანად ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე, სისრულესა და შესაბამისობაზე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებითი ხასიათის ცდომილებებს „სხვა მატერიალური მარაგების“, შენობა-ნაგებობების“, „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“, „ვალდებულებებისა“, „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებისა“ და სხვა მუხლობრივ გატარებებში.

2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული კონტროლი ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე, არ განუხორციელებია აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან და სხვ.

## რეკომენდაციები

ქაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტის განსახორციელებლად.

მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების განსაზღვრის წესი. საჭიროა, მუნიციპალიტეტმა შეასრულოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

ქაზბეგის მუნიციპალიტეტმა სამუშაოების ვადების დაგეგმვისას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი და პირობა, რომელმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს დროულ დასრულებაზე; სამუშაოების მიწოდების ვადების გაგრძელება განახორციელოს მხოლოდ სათანადო და ობიექტური საფუძვლის არსებობისას; შეიმუშაოს ხელშეკრულების ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინტერესების მაქსიმალურ დაცულობას.

მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვროს სამუშაოს დაწყების მაქსიმალური ვადა და დააწესოს შესაბამისი კონტროლი მის შესრულებაზე.

## შესავალი

### აუდიტის საგანი და სახეობა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00), „განათლების“ (პროგრამის კოდი 04.00), „კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ (პროგრამის კოდი 05.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

### აუდიტის მიზანი, კრიტერიუმი და მასშტაბი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- 1) მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- 2) არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- 3) საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- 4) შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- 5) ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის

შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

### **აუდიტის ანგარიშის დანიშნულება**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00), „განათლების“ (პროგრამის კოდი 04.00), „კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ (პროგრამის კოდი 05.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03.00), „განათლების“ (პროგრამის კოდი 04.00), „კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ (პროგრამის კოდი 05.00) პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვის და ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობებსა და კანონშეუსაბამოებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. ასევე სახელმწიფო აუდიტის

სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და 2015-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

### აუდიტის ობიექტის აღწერა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 6 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 45 სოფელსა და ერთ დაბას. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1082 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 3.8 ათას კაცს<sup>1</sup>.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები.** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2015-2016 წლების შემოსულობებმა 13 831.6 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 12 373.2 ათასი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები 2013 წლიდან პროგრამულად იგეგმება. პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში. პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული. მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და

---

<sup>1</sup> წყარო - Geostat.ge

შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. პრიორიტეტების დოკუმენტით პარალელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი.

შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში აუდიტის მასშტაბით განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა 11 794.7 ათასი ლარი შეადგინა. პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებელია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა და მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში.

**ცხრილი 1. მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში გაწეული ხარჯი პროგრამების მიხედვით (ათასი ლარი)**

| კოდი  | დასახელება                                                | 2015 წელი      | 2016 წელი      | სულ             |
|-------|-----------------------------------------------------------|----------------|----------------|-----------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1 339.1        | 1 497.4        | 2 836.5         |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია  | 2 370.2        | 3 372.9        | 5 743.1         |
| 04 00 | განათლება                                                 | 636.9          | 652.0          | 1 288.9         |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი      | 1 044.6        | 881.6          | 1 926.2         |
|       | <b>სულ:</b>                                               | <b>5 390.8</b> | <b>6 403.9</b> | <b>11 794.7</b> |

დასახელებულ პროგრამებს შორის ყველაზე დიდი მაჩვენებლით გამოირჩევა „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამა, მისი ხვედრითი წილი მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელებთან მიმართებაში 46,4%-ია, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას“ 22,9% უჭირავს, 15,6%-ით განისაზღვრა „კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ პროგრამა, ხოლო „განათლების“ ხვედრითი წილი - 10,4%-ია.

ფინანსურმა აუდიტმა, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოიცვა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების 21 380.4 ათასი ლარის საბალანსო ნაშთი. შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა 2015 წლის პროგრამული ხარჯი 5 390.8 ათასი ლარის, ხოლო 2016 წელს - 6 403.9 ათასი ლარის ოდენობით.

**ნაშთის ცვლილება.** 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 3 034.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან გამგეობამ 2015 წელს დაგეგმა მხოლოდ 2 895.2 ათასი ლარის გამოყენება. წლის ბოლოს ნაშთად დარჩა 2 565.3 ათასი ლარის ფულადი სახსრები. მათ შორის, თავისუფალი ნაშთი იყო 1 995.5 ათასი ლარი.

2016 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 2 394.1 ათასი ლარის ნაშთის გამოყენება. მიუხედავად ამისა, მოხდა 1 927.5 ათასი ლარის ნაშთის დაგროვება<sup>2</sup>. შესაბამისად, წლის ბოლოს ნაშთად დარჩა 4 423.2 ათასი ლარის ფულადი სახსრები. მათ შორის, თავისუფალი ნაშთი - 3 074.1 ათასი ლარი.

2015 წელს მუნიციპალიტეტის გადასახდელების ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 5 726.9 ათასი ლარი, ხოლო აუთვისებელი დარჩა 2 565.3 ათასი ლარის ფულადი სახსრები. 2016 წელს გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 6 646.3 ათასი ლარია. მუნიციპალიტეტმა ვერ აითვისა 4 423.2 ათასი ლარი. მათ შორის, 1 200.0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტს განთავსებული აქვს ანაბარზე. 2016 წელს ნაშთის დაგროვება ძირითადად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შეუსრულებლობამ განაპირობა. კერძოდ, ნაცვლად დაგეგმილი 6 239.6 ათასი ლარისა, გაიხარჯა 3 605.9 ათასი ლარი (58%). შესაბამისად, არ დაგეგმილა და/ან არ შესრულდა 2 633.7 ლარის ღირებულების სამუშაოები. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე. შედეგად, მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ სიკეთით, რაც შესაძლოა მიწოდებულ იქნეს ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების დროული და ეფექტიანი გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ნაშთის დაგროვება ნაწილობრივ დაუგეგმავი შემოსავლის მიღებამ გამოიწვია. კერძოდ, 2016 წლის ბოლოს შემოსავალი მიღებულია 1 462.3 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გეგმით იყო განსაზღვრული. მათ შორის, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ქონების გადასახადი (888.3 ათასი ლარით) და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (307.7 ათასი ლარით).

**რეკომენდაცია:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის და საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტის განსახორციელებლად.

## ძირითადი ტექსტი

### 1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01.00)

**ზოგადი მიმოხილვა:** „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამიდან ფინანსდება საკრებულოს და გამგეობის შენახვის ხარჯები, მათ შორის,

<sup>2</sup> სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა 69.6 ათასი ლარი.

თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვ. პროგრამა ასევე მოიცავს „საქონელი და მომსახურების“, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სხვადასხვა ხარჯებს. 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისათვის გაიხარჯა 2 836.5 ათასი ლარი. პროგრამაზე გაწეული გადასახდელების მუხლობრივი ჩაშლა ნაჩვენებია ცხრილში.

**ცხრილი 2: 2015-2016 წლებში 01.00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)**

| პროგრამის კოდი | დასახელება                                                | 2015 წელი | 2016 წელი | სულ     |
|----------------|-----------------------------------------------------------|-----------|-----------|---------|
| 01 00          | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1 339.1   | 1 497.4   | 2 836.5 |
|                | ხარჯები                                                   | 1 007.7   | 1 280.6   | 2 288.3 |
|                | შრომის ანაზღაურება                                        | 758.0     | 887.8     | 1 645.8 |
|                | საქონელი და მომსახურება                                   | 231.4     | 373.8     | 605.2   |
|                | გრანტები                                                  | 0         | 11.0      | 11.0    |
|                | სოციალური უზრუნველყოფა                                    | 14.2      | 0         | 14.2    |
|                | სხვა ხარჯები                                              | 4.1       | 8.0       | 12.1    |
|                | არაფინანსური აქტივების ზრდა                               | 331.4     | 214.0     | 545.4   |
|                | ვალდებულებების კლება                                      | 0         | 2.8       | 2.8     |

### 1.1 შრომის ანაზღაურება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში 2015-2016 წლებში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასაქმებული იყო 61 პირი. მათზე გაიცა შრომის ანაზღაურება სულ 1 645.8 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის, თანამდებობრივი სარგო - 1 427.2 ათასი ლარი და დანამატი - 218.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში პრემია გაცემული არ არის.

#### სახელფასო დანამატი

**კრიტერიუმი:** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>3</sup> ითვალისწინებს დანამატის გაცემის შესაძლებლობას. საჯარო მოხელეს სახელფასო დანამატი ეძლევა: საკლასო ჩინის შესაბამისად; ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით; დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე<sup>4</sup>.

<sup>3</sup> შესაბამის პერიოდში მოქმედი რეგულაციები.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლები 37, 57, 71.

**გამოვლენილი გარემოება:** 2015 წელს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე, გამგებლის ბრძანებებით<sup>5</sup> დანამატი, ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, გაიცა 3-ჯერ, სულ 97.9 ათასი ლარის ოდენობით. დანამატის გაცემის საფუძველად მითითებულია აღდგომის, გიორგობისა და ახალი წლის დღესასწაულები. ამ პერიოდისათვის საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ დანამატის გაცემას აღნიშნული მოტივით არ ითვალისწინებდა.

მუნიციპალიტეტმა ხარვეზი გამოასწორა 2016 წელს. კერძოდ, სამართლებრივ აქტებში დანამატის გაცემის საფუძველად მითითებულია საჯარო მოხელეების ზეგანაკვეთური მუშაობა. წლის განმავლობაში დანამატი გაიცა სულ 120.7 ათასი ლარის ოდენობით.

## **1.2 საქონელი და მომსახურება**

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა გასწია 605.0 ათასი ლარის ხარჯი. მათ შორის, დაფინანსებულია შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება, კავშირგაბმულობისა და კომუნალური ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საწვავის ხარჯი, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი, საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯების ანაზღაურება და სხვ.

### **საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება**

**კრიტერიუმი:** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად<sup>6</sup>, საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

გამგეობამ ხარჯი უნდა აანაზღაუროს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე

<sup>5</sup> 2015 წლის 7 აპრილის ბრძანება №127; 2015 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №372; 2015 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №413.

<sup>6</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხიმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები<sup>7</sup>.

**გამოვლენილი გარემოება:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული აქვს დადგენილებები<sup>8</sup>, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხარჯის ანაზღაურების წესის შესახებ. კერძოდ, 2016 წლის მარტიდან საკრებულოს თითოეული წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მიერ საკრებულოს სხდომების, კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალებების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა თვეში 390 ლარის ოდენობით. 2016 წელს გაიცა სულ 24.6 ათასი ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თანხის გაცემის საფუძველი უნდა ყოფილიყო ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. ამდენად, მუნიციპალიტეტმა 2016 წელს 24.6 ათასი ლარის ხარჯი გასწია საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

## 2. შესყიდვების მართვა

### 2.1 გაფორმებული ხელშეკრულებისა და თანამდები დოკუმენტების სისტემაში ატვირთვა

**კრიტერიუმი:** სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულება/ცვლილება რეგისტრირდება გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში და აიტვირთება შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია ატვირთოს ხელშეკრულებების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიაწოდოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი („შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“)<sup>9</sup>.

**გამოვლენილი გარემოება:** 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშგების მოთხოვნები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდისათვის წარმოდგენილი 291 ხელშეკრულებიდან:

<sup>7</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

<sup>8</sup> 2016 წლის 18 თებერვლის №2 დადგენილება.

<sup>9</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“.

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ველში არასრულად ატვირთულია 211 ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და სხვა დოკუმენტები;

64 ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს „შეუსრულებელი ხელშეკრულების“ სტატუსი, როცა თანხები სრულადაა ანაზღაურებული და ხელშეკრულების მოქმედების ვადაც ამოწურულია.

## 2.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

**კრიტერიუმი:** შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად<sup>10</sup>, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. გარანტია წარმოადგენს შემსყიდველის ფინანსური რისკების დამცავ მექანიზმს მიმწოდებლის არაკეთილსინდისიერი ქმედების, გაკოტრების და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებისაგან.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა, საგარანტიო ვალდებულებების შესრულების ან გაუქმების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, საბანკო გარანტიის ვადა სულ მცირე 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

**გამოვლენილი გარემოება:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2015-2016 წლებში გააფორმა 8 ხელშეკრულება<sup>11</sup>, რომელთა ღირებულება 200 000 ლარზე მეტია. მათ შორის, 4 შემთხვევაში გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით არ აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას. გარდა ამისა, 6 შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ცვლილებასთან ერთად, არ გაიზარდა საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდი. შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნა. მაგალითად:

გამგეობამ 2016 წელს №19 ხელშეკრულება გააფორმა შპს-თან - „გზები და კეთილმოწყობა“, ღირებულებით 857.5 ათასი ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყო 2016 წლის 2 ოქტომბერი და ითვალისწინებდა დაბა სტეფანწმინდაში ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაციას. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სამუშაოს შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა გავრცელებულიყო 2016 წლის 1 დეკემბრამდე. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა წარმოადგინა გარანტია, რომელიც ძალაში იყო 2016 წლის 1 ოქტომბრამდე. გარდა ამისა,

<sup>10</sup> სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 1.

<sup>11</sup> SPA150016377, SPA150017440, SPA150024669, SPA160006610, SPA160006613, SPA160018454, SPA160019619, SPA160022329.

ხელშეკრულებაში შევიდა რამდენიმე ცვლილება და საბოლოოდ მოქმედების ვადა გადაიწია 2016 წლის 30 დეკემბრამდე. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არ შეცვლილა და შესაბამისად, მიმწოდებელს განახლებული გარანტია არ წარმოუდგენია.

### **2.3 შესყიდვების მონეტარული ზღვრების დარღვევები**

**კრიტერიუმი 1:** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად<sup>12</sup>, გადაუდებელი აუცილებლობა არის ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და არ შეიძლება ყოფილიყო წინასწარ განსაზღვრული.

**გამოვლენილი გარემოება:** საანგარიშო პერიოდის ასიგნებების ფარგლებში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, განახორციელა 3 შესყიდვა<sup>13</sup>, საერთო ღირებულებით - 31.1 ათასი ლარი. შესყიდვის საშუალებად გამგეობამ გამოიყენა გამარტივებული შესყიდვის ფორმა. აღნიშნული შესყიდვები არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან შესაძლებელი იყო მათი წინასწარი დაგეგმვა და ტენდერის საშუალების გამოყენება. მაგალითად:

- მუნიციპალიტეტმა 2014 წლის 17 ოქტომბერს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება<sup>14</sup> გააფორმა სოფელ ტყარშეტში წყლის სათავე ნაგებობისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით - 20.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 30 ნოემბრამდე. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებაში გადაუდებელი აუცილებლობის მოტივის დასასაბუთებად გამოყენებულია მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების აუცილებლობა, რაც მუნიციპალიტეტისათვის წინასწარვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა 2015 წლის 25 ივლისამდე გადაიდო და საბოლოოდ, 18 აგვისტოს დასრულდა.

დანარჩენ შემთხვევებში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სარგებლობაში არსებული ავტომაქსების სარემონტო სამუშაოები და საბურავები, რომელთა საჭიროების წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელი იყო.

**კრიტერიუმი 2:** საქართველოს მთავრობის დადგენილებით<sup>15</sup>, 2016 წელს მუნიციპალიტეტებს უფლება მიეცათ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში

<sup>12</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „ლ“ ქვეპუნქტი.

<sup>13</sup> ხელშეკრულებები: 2014 წელი №137; 2015 წელი - №11,75.

<sup>14</sup> №137.

<sup>15</sup> №54, 04.02.2016.

მისაწოდებელი სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებინათ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

**გარემოება:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, შეისყიდა 307.0 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების სამუშაო. მათ შორის, 3 შესყიდვისათვის, საერთო სახელშეკრულებო ღირებულებით - 7.7 ათასი ლარი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ნაცვლად, გამგეობამ გამოიყენა გამარტივებული შესყიდვის საშუალება<sup>16</sup>. კერძოდ, სოფელ გარბანში რიტუალების სახლში მოეწყო გათბობის სისტემა, სოფელ ქოსელთაში განხორცილდა სასაფლაოების შემოღობვა და სოფელ არშაში აღიჭურვა რიტუალების სახლი.

### 3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამის კოდი 03.00)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობად განსაზღვრულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კერძოდ, პროგრამის შესაბამისად დაიგეგმა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები, საკანალიზაციო და წყლის სისტემების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამა ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას.

პროგრამის განხორციელებიდან მოსალოდნელი საბოლოო შედეგები და შეფასების ინდიკატორები ქვეპროგრამების მიხედვით, აღწერილია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში. პროგრამის ბიუჯეტი წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში:

**ცხრილი 3. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამის სტრუქტურა (ათასი ლარი)**

| პროგრამის კოდი | დასახელება                                                         | 2015 წელი      | 2016 წელი      | სულ            |
|----------------|--------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| <b>03 00</b>   | <b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>    | <b>2 370.2</b> | <b>3 372.9</b> | <b>5 743.1</b> |
| 03 01          | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა  | 657.1          | 1 480.9        | 2 138.0        |
| 03 02          | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1 347.7        | 1 652.9        | 3 000.6        |

<sup>16</sup> CMR160184868, CMR160184864, CMR160221145.

|          |                                                                      |       |         |         |
|----------|----------------------------------------------------------------------|-------|---------|---------|
| 03 02 01 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია                          | 20.9  | 0       | 20.9    |
| 03 02 02 | წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია                                  | 971.9 | 1 007.8 | 1 979.7 |
| 03 02 03 | დასუფთავების ღონისძიებები                                            | 117.6 | 182.4   | 300.0   |
| 03 02 04 | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ხელშეწყობა                    | 237.3 | 462.6   | 699.9   |
| 03 03    | კეთილმოწყობის ღონისძიებები                                           | 58.5  | 85.7    | 144.2   |
| 03 04    | „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | 307.0 | 153.5   | 460.5   |

### 3.1 გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოები

**კრიტერიუმი:** საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად<sup>17</sup>, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აღწეოს ან აღემატებოდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებებით, ანგარიშ-ფაქტურებით, ხელფასის უწყისებით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიმწოდებლების ფაქტობრივი დანახარჯები ხშირად მნიშვნელოვნად ნაკლებია სახელშეკრულებო ღირებულებაზე.

**გამოვლენილი გარემოება:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, რიგ შემთხვევებში გამოიყენა გამარტივებული შესყიდვის საშუალება. მათ შორის, 2015-2016 წლებში მოქმედი იყო 40 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 3 138.7 ათასი ლარი.

გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შესრულებული სამუშაოების აქტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმწოდებლებზე თანხის ანაზღაურების დროს მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, გამგეობა მიმწოდებლებისგან არ ითხოვდა დოკუმენტაციას ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ და ანგარიშსწორებას ახორციელებდა წარმოდგენილი ფორმა №2-ების შესაბამისად.

<sup>17</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

ამდენად, 3 138.7 ათასი ლარის სამუშაოებზე არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და თანხა ანაზღაურებულია კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

**რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების განსაზღვრის წესი. საჭიროა მუნიციპალიტეტმა შეასრულოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

### 3.2 მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი გადაწყვეტი

**კრიტერიუმი:** შემსყიდველი ორგანიზაცია გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრავს სამუშაოების დასრულების ვადებს; სამუშაოების დაგეგმვისას ითვალისწინებს იმ გარეფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სამუშაოების დროულად დასრულებას; სახელშეკრულებო პირობები მიმწოდებლისთვის ცნობილი ხდება ტენდერის გამოცხადების ან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე და ხელმოწერით ეთანხმება მას. სამუშაოს დასრულების ვადა შეიძლება გადაიწიოს მხოლოდ იმ გარემოების დადგომისას, რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია.

**გამოვლენილი გარემოება:** 2015-2016 წლებში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი მიმწოდებლის მოთხოვნით ხშირად ზრდიდა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. ხელშეკრულებების ცვლილების ძირითად მოტივად მკაცრი კლიმატური პირობებია დასახელებული, მაგალითად:

1) 2016 წლის 14 სექტემბერს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა სოფელ არშის სასმელი წყლის მაგისტრალური ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. გამარჯვებულ შპს „ენ ეს გრუპთან“ 31 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება 56.0 ათას ლარზე, ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 8 იანვარი. 7 დეკემბერს მიმწოდებელმა მოითხოვა ვადის გადაწევა იმის გამო, რომ ამინდის გაუარესების მიზეზით ვერ მოხერხდა მასალების (მიწები) დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირება. შეთანხმების შესაბამისად, სამუშაოების დასრულება 2017 წლის 30 მაისისთვის გადაიწია.

2) 2016 წელს მუნიციპალიტეტმა სოფელ გარბნის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის მიზნით ხელშეკრულება გააფორმა შპს „კონვენტ ჯორჯიასთან“,

ღირებულებით 462.4 ათასი ლარი. ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოები უნდა დაწყებულიყო პირველ მაისს და დასრულებულიყო პირველ სექტემბერს. სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში მიწოდების ვადები გადაიწია ორჯერ. ერთ შემთხვევაში კორექტირების საფუძველი იყო მიმწოდებლის მომართვა ფინანსური პრობლემების შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში - ამინდის გაუარესება. საბოლოოდ, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 მაისი.

აღსანიშნავია, რომ უამინდობის გამო სამუშაოს მიწოდების ვადა გაზრდილია საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის შემთხვევაშიც<sup>18</sup>, რომელიც ნაკლებადაა დამოკიდებული გარემო პირობებზე.

გამოვლინდა სხვა შემთხვევებიც, როცა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები დიდი პერიოდით არის გაზრდილი. მათ შორის, ზოგიერთი ხელშეკრულებისათვის გადაწეული დღეების რაოდენობამ 4 თვე და მეტი შეადგინა, რაც ნაჩვენებია ცხრილში:

ცხრილი 4. მიწოდების ვადების ცვლილებები (ათასი ლარი)

| ხელშეკრულების № | სამუშაოს შესრულების პერიოდი | მიმწოდებელი                 | შესყიდვის ობიექტი                                                      | ხელშეკრულების ღირებულება | გადაწეული დღეების რაოდენობა |
|-----------------|-----------------------------|-----------------------------|------------------------------------------------------------------------|--------------------------|-----------------------------|
| 80              | 19.10.2016-16.01.2017       | შპს „B&B“                   | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა                                         | 80.0                     | 165                         |
| 114             | 24.09.2015-11.01.2016       | შპს „გზები და კეთილმოწყობა“ | სტეფანწმინდაში სააკადის ქუჩის რეაბილიტაცია                             | 598.0                    | 186                         |
| 85              | 20.10.2016-23.12.2016       | შპს „B&B“                   | სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია            | 85.0                     | 189                         |
| 73              | 03.10.2016-21.11.2016       | შპს „წყალმშენი 2013“        | საკანალიზაციო და წყლის სისტემის მოწყობა                                | 22.6                     | 190                         |
| 70              | 19.06.2014-31.08.2014       | შპს „გზები და კეთილმოწყობა“ | სოფელ სნოში მთავარ ქუჩაზე გზისა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 200.6                    | 267                         |
| 18              | 01.05.2016-01.09.2016       | შპს „კონვენტ ჯორჯია“        | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა                                         | 462.4                    | 271                         |

№№73, 80 და 85 ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, სამუშაოების მიწოდება უნდა დაწყებულიყო ოქტომბრიდან და დასრულებულიყო 11 ნოემბრიდან 17 იანვრამდე პერიოდში. ამ დროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მკაცრი კლიმატური პირობებია. გამომდინარე აქედან, ხელშეკრულებების შესრულების მოსალოდნელი შეფერხება პროგნოზირებადი უნდა ყოფილიყო.

დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების ცვლილებას რიგ შემთხვევებში იწვევს სამუშაოების დაგვიანებით დაწყება ან/და დასრულების ვადების არასწორი დაგეგმვა, კლიმატური პირობების

<sup>18</sup> ხელშეკრულება №102, 2016 წელი.

გათვალისწინების გარეშე. სამუშაოების ზამთრის სეზონამდე დაუსრულებლობა კი ლოგიკურად განაპირობებს ვადების მნიშვნელოვან გაზრდას, ხელსაყრელი პირობების დადგომამდე.

**რეკომენდაცია:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა სამუშაოების ვადების დაგეგმვისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი და პირობა, რომელმაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს დროულ დასრულებაზე; სამუშაოების მიწოდების ვადების გაგრძელება განახორციელოს მხოლოდ სათანადო და ობიექტური საფუძვლის არსებობისას; შეიმუშაოს ხელშეკრულების ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინტერესების მაქსიმალურ დაცულობას.

### 3.3 საჯარიმო სანქციების გავრცელება

**კრიტერიუმი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და ამასთანავე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადის შესახებ<sup>19</sup>. სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ძირითადად ითვალისწინებს ობიექტების მიღების შემდეგ წესს: სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა, სამუშაოების დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა №2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი და საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დადგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციასთან.

აუდიტის ობიექტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის.

**გამოვლენილი გარემოება 1:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გუდაურის ადმინისტრაციული შენობის რემონტის მიზნით 2015 წლის 16 ოქტომბერს ხელშეკრულება გააფორმა შპს „ტყვიავთან“, ღირებულებით 78.0 ათასი ლარი. სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 30 დეკემბერი. სამუშაოების მიღება-ჩაბარებისათვის, ამავე ვადაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ექსპერტიზის დასკვნაც. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს დარიცხვას შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

<sup>19</sup> სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 19, პუნქტი 6, ქვეპუნქტი „ე“.

გამგეობამ ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმა 2015 წლის 30 დეკემბერს, რომელსაც თან ერთვის შესრულებული სამუშაოების აქტი 78.0 ათას ლარზე<sup>20</sup>. ამ პერიოდისთვის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იყო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით 73.0 ათასი ლარის სამუშაოდან 57.0 ათასი ლარის სამუშაო იყო დასრულებული, ხოლო დაუსრულებელი 16.0 ათასი ლარის სამუშაოს ჩათვლის საკითხი დამკვეთის გადასაწყვეტი იყო. შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა დაარღვია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობა და ობიექტის მიღება-ჩაბარება განახორციელა სამუშაოების დასრულებამდე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოების დასრულების რეალური თარიღი დოკუმენტურად ვერ დასტურდება. საბოლოო ანგარიშსწორება 5.8 ათასი ლარის ოდენობით განხორციელდა გამგებლის მოადგილის 2016 წლის 10 მარტით დათარიღებული წერილის საფუძველზე. თუ სამუშაოების დასრულების თარიღად მივიჩნევთ 10 მარტს, მიმწოდებელს სამუშაოების 71 დღით დაგვიანებით დასრულებისათვის უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო 1.3 ათასი ლარის ოდენობით<sup>21</sup>, რაც გამგეობას არ განუხორციელებია.

**გამოვლენილი გარემოება 2:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობებით, რიგ შემთხვევებში სამუშაოს დასრულების ვადაში მოთხოვნილია ექსპერტის დასკვნის წარდგენაც. აუდიტის პროცესში გამოვლინდა ისეთი შესყიდვები, როცა სამუშაოების დასრულების თარიღად განისაზღვრა მიმწოდებლის მომართვა, ხოლო ექსპერტის დასკვნა წარმოდგენილია ვადის ამოწურვის შემდეგ, რაც არ შეესაბამება შესყიდვის პირობებს. მაგალითად:

➤ გამგეობამ 2015 წლის 22 ივლისს ხელშეკრულება გააფორმა შპს B&B-სთან, ღირებულებით 106.0 ათასი ლარი. შესყიდვის საგანი იყო სოფელ ტყარშეტში საკანალიზაციო ქსელის და გამწმენდი ნაგებობების მოწყობა. სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 8 ნოემბერი. მიმწოდებელს მიღება-ჩაბარებისათვის, ამავე ვადაში უნდა წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნაც. ხელშეკრულება ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს დარიცხვას შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შესახებ გამგეობას მიმართა 2015 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო საექსპერტო დასკვნა წარადგინა 15 დეკემბერს. გამგეობასა და შპს B&B-ს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი დათარიღებულია 16 დეკემბრით. მუნიციპალიტეტმა სამუშაოს დასრულების თარიღად ჩათვალა მიმწოდებლის წერილი და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად არ დაარიცხა პირგასამტეხლო 37 დღის დაგვიანებისათვის - 1.3 ათასი ლარის ოდენობით.

<sup>20</sup> ამ პერიოდისთვის ანაზღაურებული სამუშაოების ღირებულება 69.5 ათას ლარს შეადგენდა.

<sup>21</sup>  $(16.0 \text{ ათასი ლარი} + 2.5 \text{ ათასი ლარი}) * 0,1\% * 71 \text{ დღე} = 1.3 \text{ ათასი ლარი}$ .

➤ მიწოდების ვადების დადგენისას, ანალოგიური ხარვეზები გამოვლინდა 2015 წელს განხორციელებული შემდეგი შესყიდვების შემთხვევაში:

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ცენტრალური პარკის მოწყობა. 27 დღის ვადაგადაცილებისათვის არ არის დარიცხული პირგასამტეხლო 1.5 ათასი ლარის ოდენობით.

- სოფელ გორისციხეში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. ვადაგადაცილება შეადგენდა 35 დღეს, რაზედაც არ არის გავრცელებული საჯარიმო სანქცია 2.1 ათასი ლარის ოდენობით.

- სოფელ სიონში წყლის სისტემების მოწყობა. მიმწოდებელი ექვემდებარებოდა დაჯარიმებას მიწოდების ვადის 37 დღით გადაცილებისათვის, 2.6 ათასი ლარის ოდენობით.

ამგვარად, 2015 წელს მუნიციპალიტეტმა, 5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის, არ გამოიყენა სულ 8.8 ათასი ლარის საჯარიმო სანქციების გავრცელების შესაძლებლობა.

### **3.4 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“**

**კრიტერიუმი:** საქართველოს მთავრობის დადგენილებით<sup>22</sup> „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხა უნდა მოხმარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას, რეაბილიტაციას ან/და კეთილმოწყობას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვას. განსახორციელებელი პროგრამის დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე.

**გამოვლენილი გარემოება 1:** ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 ივნისის №24 განკარგულებით<sup>23</sup>, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაიგეგმა სოფელ ოქროყანაში ხიდის რეაბილიტაცია, რომლითაც უნდა ესარგებლა 8 სოფელს. გამგეობამ 2015 წლის 5 ნოემბერს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა შპს-თან „გზები და კეთილმოწყობა“, ღირებულებით 38.2 ათასი ლარი. ხელშეკრულებით სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 25 დეკემბერი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ხიდზე მოსაწყობი ფოლადის მილები უნდა მიეწოდებინა მუნიციპალიტეტს. მიმწოდებელმა შეასრულა 32.4 ათასი ლარის სამუშაო, თუმცა პროექტი ვერ დაასრულა, რადგან გამგეობამ ვერ მოახერხა არსებული მილების ტრანსპორტირება. სამუშაოები დაუსრულებელი იყო აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშიც.

<sup>22</sup> №19.02.2015 და №54, 04.02.2016

<sup>23</sup> მათ შორის, მხოლოდ 3 სოფელში ჩატარდა სოფლის კრება.

სურათი 1. ოქროყანის ხიდის მშენებლობა



აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა შესასრულებელი სამუშაო იმგვარად დაგეგმა, რომ ვერ მიაღწია ღონისძიების ფარგლებში დასახულ მიზანს. შესაბამისად, 32.4 ათასი ლარი დაიხარჯა ისეთ პროექტზე, რომელიც არ არის დასრულებული და მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული მატერიალური სიკეთით.

**გამოვლენილი გარემოება 2:** 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტმა 26.0 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა ი/მ ოლეგ ქარსელაძესთან<sup>24</sup>. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ყაზბეგის სხვადასხვა სოფელში სარიტუალო სახლების მოწყობა-რეაბილიტაციას, მათ შორის, სოფელ კარკუჩის სარიტუალო სახლისთვის კერამიკული ფილების შეძენას და დასაწყობებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელმა 2016 წლის 30 აგვისტოს მუნიციპალიტეტს მიაწოდა 3.8 ათასი ლარის ღირებულების ფილები. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ფილები არ არის მოწყობილი და ინახება სარიტუალო სახლის შენობაში.

სურათი 2. სოფელ კარკუჩის სარიტუალო სახლი



<sup>24</sup> SPA160020969, ხელშეკრულება №51.

შესაბამისად, 3.8 ათასი ლარის ფინანსური რესურსი მუნიციპალიტეტმა მიმართა ისეთი ღონისძიების დასაფინანსებლად, რომლის დადებითი ეფექტიც ადგილობრივ მოსახლეობაზე დროულად ვერ აისახა.

### 3.5. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

**კრიტერიუმი:** აუდიტის ობიექტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, როგორც წესი, შეიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ხარისხობრივ, რაოდენობრივ და საგარანტიო ვალდებულებებს.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და მუნიციპალური ინტერესების გათვალისწინებით, განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში<sup>25</sup>.

**გამოვლენილი გარემოება:** 2015 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეისყიდა სოფელ ტყარშეტის რიტუალების სახლის სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით 7.7 ათასი ლარი<sup>26</sup>.

ობიექტის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ დაზიანებულია შენობის ჭერი, რომელიც სამუშაოების მთლიანი ღირებულების 40%-ს შეადგენს. კერძოდ, პლასტიკატის შეკიდული ჭერი დეფორმირებულია და ცალკეული დეტალები საჭიროებს ხელახლა მოწყობას.

გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია სამუშაოების დასრულებიდან 2 წელია, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი დეფექტი. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ხარვეზის გამოვლენის შემდეგ, მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს შესაბამისი ღონისძიების გატარების მოთხოვნით.

სურათი 3. სოფელ ტყარშეტის სარიტუალო სახლი



<sup>25</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

<sup>26</sup> ხელშეკრულება №122.

#### 4. განათლება (პროგრამის კოდი 04.00)

პროგრამა „განათლება“ თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2015-2016 წლებში პროგრამის გადასახდელებმა სულ 1 288.9 ათასი ლარი შეადგინა და მის ფარგლებში დაფინანსდა სკოლამდელი განათლება (საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და სხვადასხვა ხარჯი), აგრეთვე მოსწავლეთა კლასგარეშე წრეების (ინგლისური ენის, ხატვის, ქორეოგრაფიული, ქსოვისა და თექის დამზადების შესწავლა) საქმიანობა.

##### მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ┐ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა.
- ┐ საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- ┐ მოსწავლე-ახალგაზრდობის ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება.

##### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ┐ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა.
- ┐ დაწყებით კლასებში ბავშვთა მაღალი აკადემიური მოსწრება.
- ┐ მოსწავლე - ახალგაზრდობის მიერ ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიების რაოდენობა.

„განათლების“ პროგრამის ფარგლებში ხარჯები ძირითადად გაცემულია სუბსიდიის მუხლიდან ა(ა)იპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სკოლამდელ დაწესებულებათა ცენტრსა და ა(ა)იპ - ყაზბეგის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლზე.

ცხრილი 5. განათლების პროგრამის დაფინანსება (ათასი ლარი)

| პროგრამის კოდი | დასახელება                                 | 2015 წელი | 2016 წელი | სულ     |
|----------------|--------------------------------------------|-----------|-----------|---------|
| 04 00          | განათლება                                  | 636.9     | 652.0     | 1 288.9 |
| 04 01          | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა              | 537.7     | 553.7     | 1 091.4 |
| 04 02          | საჯარო სკოლების რეაბილიტაცია               | 2.7       | 2.4       | 5.1     |
| 04 02          | მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა | 96.5      | 95.9      | 192.4   |

#### 5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამის კოდი 05.00)

ინფრასტრუქტურული განვითარების პარალელურად, 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ხელს უწყობს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი პროგრამულად განაგრძობს კულტურული

ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

2015-2016 წლებში პროგრამის - „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი“ გადასახდელებმა 1 812.3 ათასი ლარი შეადგინა. პროგრამის გადასახდელების 63% ანუ 1 139.8 ათასი ლარი<sup>27</sup> გახარჯულია დაბა სტეფანწმინდაში კულტურის სახლის მშენებლობაზე. გარდა ამისა, „სუბსიდიის“ მუხლით დაფინანსდა ა(ა)იპ - დაბა სტეფანწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა და ა(ა)იპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი.

#### მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ) სპორტის, კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების არსებობა.
- ) ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ) სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის რაოდენობა.
- ) სპორტისა და კულტურის სფეროში ჩაბმული ბავშვების რაოდენობა.

ცხრილი 6. კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პროგრამის სტრუქტურა (ათასი ლარი)

| პროგრამის კოდი | დასახელება                                           | 2015 წელი | 2016 წელი | სულ    |
|----------------|------------------------------------------------------|-----------|-----------|--------|
| 05 00          | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 930.7     | 881.6     | 1812.3 |
| 05 01          | სპორტის განვითარების ხელშეწყობა                      | 61.6      | 149.7     | 211.3  |
| 05 02          | კულტურის განვითარების ხელშეწყობა                     | 869.1     | 731.9     | 1601.0 |
| 05 02 01       | კულტურული ღონისძიების დაფინანსება                    | 3.0       | 527.7     | 530.7  |
| 05 02 02       | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა                             | 44.6      | 43.7      | 88.3   |
| 05 02 03       | კულტურის ცენტრის ხელშეწყობა                          | 821.5     | 160.5     | 982.0  |

#### 5.1 კულტურის ცენტრის ხელშეწყობა

**კრიტერიუმი:** შემსყიდველი ორგანიზაცია გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრავს სამუშაოების დასრულების ვადებს; სამუშაოების დაგეგმვისას ითვალისწინებს იმ გარე ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სამუშაოების დროულად დასრულებას; სახელშეკრულებო პირობები მიმწოდებლისთვის ცნობილი ხდება ტენდერის გამოცხადების ან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე და

<sup>27</sup> 2015 წელს დაფინანსდა „კულტურის ცენტრის ხელშეწყობის“ მუხლიდან - 664.3 ათასი ლარით, 2016 წელს - „კულტურული ღონისძიების დაფინანსების“ მუხლიდან, 475.5 ათასი ლარით.

ხელმოწერით ეთანხმება მას. სამუშაოს დასრულების ვადა შეიძლება გადაიწიოს მხოლოდ იმ გარემოების დადგომისას, რომლის გათვალისწინებაც წინასწარ შეუძლებელია.

აუდიტის ობიექტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, როგორც წესი, ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის.

**გამოვლენილი გარემოება:** გამგეობამ 2014 წლის 24 დეკემბერს შპს „ჯი ემ ჯისტან“ გამარტივებული შესყიდვით ხელშეკრულება გააფორმა დაბა სტეფანწმინდაში კულტურის სახლის მშენებლობის სამუშაოებზე. ხელშეკრულებით სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა 760.1 ათასი ლარის ოდენობით<sup>28</sup>, ხოლო დასრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 548 დღე, 2016 წლის 24 ივნისი.

შპს „ჯი ემ ჯიმ“ ანგარიშსწორების მოთხოვნით შემსყიდველს პირველად მიმართა და შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2) წარუდგინა მხოლოდ 2015 წლის 27 ოქტომბერს, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 307 დღის შემდეგ. 2016 წლის 1 ივნისს, გრძელვადიანი ზამთრის პერიოდის მოტივით, რიგი სამუშაოების შეფერხების გამო, მიმწოდებელმა მოითხოვა დასრულების ვადის 3 თვით გადაწევა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სამუშაოს დასრულების ვადა 27 აგვისტომდე გაიზარდა.

მიწოდების ვადების გაზრდა სავარაუდოდ გამოიწვია მიმწოდებლის მიერ სამუშაოს არაჯეროვანმა შესრულებამ, რაც არ უნდა გამხდარიყო შემსყიდველისათვის სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევის საფუძველი.

**რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულების პირობებით განსაზღვროს სამუშაოს დაწყების მაქსიმალური ვადა და დააწესოს შესაბამისი კონტროლი მის შესრულებაზე.

## 6. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების უარყოფითი მოსაზრების საფუძველები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ყაზბაგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

1. ბალანსს.
2. ანგარიშს, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
3. ანგარიშს, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.
4. ანგარიშს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.

<sup>28</sup> ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 825.4 ათას ლარამდე.

5. ანგარიშს, წმინდა ღირებულების შესახებ.
6. ანგარიშს, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.
7. ანგარიშს, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ.
8. ანგარიშს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.
9. ანგარიშს, არასოპერაციო შემოსავლებისა და არასოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.
10. ინფორმაციას, არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.
11. ინფორმაციას, ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.
12. ინფორმაციას, ანგარიშებზე რიცხული კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ.
13. ინფორმაციას, დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.
14. ინფორმაციას, კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

## 6.1 ორგანიზაციის ბალანსი

**გარემოება:** მოქმედი კანონმდებლობით, სააღრიცხვო სისტემაში ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისათვის გამოიყენება ორმაგი ჩაწერის მეთოდი<sup>29</sup>. ერთი და იგივე სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული ცვლილება ერთი და იმავე თანხით აისახება როგორც აქტივების, ასევე მათი ფორმირების წყაროების ამსახველ ანგარიშებში.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსში აქტივების საბოლოო ნაშთების ჯამი წარმოდგენილია 21 380.4 ათასი ლარით, ხოლო აქტივების შემადგენელი კომპონენტების ჯამი 21 380.0 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის სხვაობა 0.4 ათასი ლარია. ბალანსში პასივების (ვალდებულებები+კაპიტალი) საბოლოო ნაშთების ჯამი წარმოდგენილია 22 934.7 ათასი ლარით, ხოლო მათი შემადგენელი კომპონენტების ჯამი 23 032.6 ათას ლარია და 97.9 ათასი ლარით აღემატება ჯამს.

ამასთანავე, საბალანსო ტოლობა (აქტივები=ვალდებულებებს+კაპიტალი) არ არის დაცული. კერძოდ, 2016 წლის ბალანსში აქტივების საწყისი ნაშთი 15 371.9 ათასი ლარია, პასივების - 15 645.3 ათასი ლარი. მათ შორის სხვაობა არის 273.4 ათასი ლარი. აქტივების საბოლოო ნაშთი 21 380.4 ათასი ლარია, პასივებისა - 22 934.7 ათასი ლარი. მათ შორის სხვაობა 1 554.3 ათას ლარს შეადგენს.

### გავლენა

) დარღვეულია ბუღალტრული აღრიცხვის საბალანსო ტოლობა (აქტივები=ვალდებულებებს+კაპიტალი), რაც გავლენას ახდენს მთლიანად ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეზე, სისრულესა და შესაბამისობაზე.

<sup>29</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 1.

## 6.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

### დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში

**გარემოება:** წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ხაზინის დეპოზიტურ ანგარიშზე ერიცხებოდა 1 200.0 ათასი ლარი. ბალანსის აღნიშნულ ანგარიშზე მუნიციპალიტეტს არასწორად აქვს ასახული ხაზინის მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხა 3 223.2 ათასი ლარის ოდენობით.

### **გავლენა**

- ) ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა N1) მუხლი - „დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში“ გაზრდილია 2 023.2 ათასი ლარით, რაც გავლენას ახდენს ბალანსის სიზუსტეზე.

### სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

**გარემოება:** წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერიცხება 2014 წლამდე წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 119.7 ათასი ლარის ოდენობით. აქედან, 114.0 ათასი ლარი შპს „პიქსელი ჯგუფზე“ მოდის. დებიტორული დავალიანება ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ არის. აღნიშნული დაფიქსირებული იყო ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშშიც, თუმცა ხარვეზი არ გამოსწორებულა.

### **გავლენა**

- ) ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა N1) მუხლი - „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები“ არ არის წარმოდგენილი 119.7 ათასი ლარით, რაც გავლენას ახდენს ბალანსის სიზუსტეზე.

## 6.3 ვალდებულებები

### საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

**გარემოება:** ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლით მუნიციპალიტეტს გატარებული აქვს 97.9 ათასი ლარი. თანხა წარმოადგენს იმ ხელშეკრულებების 2016 წლის საკასო ხარჯს, რომელთა მომსახურებაც გადავიდა მომდევნო წელში.

მოქმედი კანონმდებლობით<sup>30</sup>, აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება სამუშაოებისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები და არა საკასო ხარჯი.

<sup>30</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 29, პუნქტი 12.

გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერიცხება 0.1 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც მიეკუთვნება საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხულ მოკლევადიან ვალდებულებებს<sup>31</sup>. აღნიშნული დავალიანება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

### **გავლენა**

- ) ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების მუხლი გაზრდილია 97.8 ათასი ლარით.
- ) აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

### **აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები**

**გარემოება:** ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების მუხლით გატარებულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების სხვადასხვა პერიოდის საკასო ხარჯი, 3 380.9 ათასი ლარის ოდენობით.

მოქმედი კანონმდებლობით<sup>32</sup>, აღნიშნულ ანგარიშზე აღირიცხება აქტივების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები და არა საკასო ხარჯი.

### **გავლენა**

- ) ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი გაზრდილია 3 380.9 ათასი ლარით.
- ) აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

### **მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები**

**გარემოება:** მოქმედი კანონმდებლობით<sup>33</sup>, ანგარიშზე – „მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი ვალდებულებები“ (3331) აღირიცხება სამუშაოებისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერიცხება 0.3 ათასი ლარი - მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი

<sup>31</sup> შპს „სილქნეტი“, მცხეთის მუნიციპალიტეტის ინვესტი.

<sup>32</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 29, პუნქტი 13.

<sup>33</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 29, პუნქტი 49.

კრედიტორული დავალიანება<sup>34</sup>. აღნიშნული დავალიანება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

#### **გავლენა**

- ┌ ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მომსახურების მოწოდებით დარიცხული „გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 0.3 ათასი ლარით.
- ┌ აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

**აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების გარემოება:** ანგარიშზე – „აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი ვალდებულებები“ (3332) აღირიცხება არაფინანსური აქტივების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი გრძელვადიანი ვალდებულებები<sup>35</sup>.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტს ერიცხება 2.0 ათასი ლარის აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება<sup>36</sup>, რაც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### **გავლენა**

- ┌ ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) აქტივების მოწოდებით დარიცხული „გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 2.0 ათასი ლარით.
- ┌ აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

### **6.4 ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით**

გარემოება: ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, დამტკიცებულია ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლის შევსება სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულებისათვის. ფორმები შეიცავს ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით. ბალანსის აღნიშნული დანართი ფორმა გულისხმობს მონაცემების შევსებას, როგორც საკასო ხარჯის, ასევე ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, რის შემდეგაც იანგარიშება მათ შორის გადახრა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა ბალანსის დანართი ფორმა №2, რომელიც არ შეიცავს მონაცემს ფაქტობრივი ხარჯების შესახებ და შესაბამისად, არ არის შევსებული გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯებს შორის.

<sup>34</sup> შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, ეროვნული არქივი.

<sup>35</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 29, პუნქტი 50.

<sup>36</sup> შპს „სეტ“, შპს „მითი“, შპს „მშენებელი 2012“.

### გავლენა

- ) ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი - ფორმა №2), არასრულად არის შევსებული და შესაბამისად, არ წარმოადგენს ორგანიზაციის ხარჯების სრულ ფინანსურ სურათს.

### ოფისის ხარჯი

**გარემოება:** გამგეობამ 2016 წელს შეისყიდა 70.1 ათასი ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, რომელიც მიღება-ჩაბარებით გადასცა საბავშვო ბაღებს. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აქტივი ჩამოწერილია ოფისის ხარჯებში.

70.1 ათასი ლარის ხარჯი ასევე გატარებულია ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“. კერძოდ, თანხა ასახულია „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლის შესყიდვებით წარმოქმნილი მარაგების ღირებულებაში - 163.7 ათასი ლარი და სხვა გასვლებში - 74.0 7 ათასი ლარი.

მოქმედი კანონმდებლობით<sup>37</sup>, ანგარიშზე „მატერიალური მარაგები“ (ანგ. №1600) აღირიცხება „არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის“ და „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ შესაბამისად განსაზღვრული მატერიალური მარაგები, რომლებიც მოკლევადიან არაფინანსურ აქტივებად კლასიფიცირდება. ბაგა-ბაღებისათვის შესყიდული ავეჯი კი, ერთეულის ღირებულებებიდან გამომდინარე<sup>38</sup>, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივს წარმოადგენს. ამდენად, აქტივის მოძრაობა არ უნდა ასახულიყო „მატერიალური მარაგების“ მუხლში. გამომდინარე იქიდან, რომ აქტივი გადაეცა სხვა დაწესებულებას, ექვემდებარებოდა „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლში გატარებას.

### გავლენა

- ) ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 70.1 ათასი ლარით გაზრდილია „ოფისის ხარჯების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლი.
- ) ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, შესყიდვებით წარმოქმნილი მარაგებისა და სხვა გასვლების მუხლების ღირებულება გაზრდილია 70.1 ათასი ლარით.

<sup>37</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 19, პუნქტი 1.

<sup>38</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 2, პუნქტი „ღ“.

### სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

**გარემოება №1:** მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შეისყიდა 7.5 ათასი ლარის ღირებულების ისეთი საქონლის მომსახურებები, როგორცაა: ნორმატიული აქტების გამოქვეყნება, ბეჭდვა, საგამომცემლო სასტამბო მომსახურება და ნაბეჭდი წიგნების ბროშურების შეძენა<sup>39</sup>. მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული ხარჯები მიეკუთვნება „ოფისის ხარჯებს“. მიუხედავად ამისა, გამგეობამ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯი ასახა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

#### გავლენა

) ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 7.5 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „ოფისის ხარჯების“ მუხლი.

**გარემოება №2:** მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შეიძინა თავდაცვის სამსახურის ფორმები ღირებულებით 0.2 ათასი ლარი<sup>40</sup> და ასახა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, რაც არასწორია. აღნიშნული ხარჯი უნდა გატარებულიყო „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის“ მუხლში.

#### გავლენა

) ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 0.2 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლი. იმავე თანხით შემცირებულია „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის“ მუხლი.

## **6.5 ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ**

### მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

**გარემოება:** 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ ანგარიშში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №2-1) „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლის საკასო ხარჯი წარმოდგენილია - 386.5 ათასი ლარით. ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, შესყიდვებით მიღებული „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლში ასახულია 380.1 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესყიდვებით წარმოქმნილი აქტივების ღირებულება ფაქტობრივად შეადგენს 383.8 ათას ლარს<sup>41</sup>. კერძოდ:

<sup>39</sup> ხელშეკრულებები №№10,26,67, სსიპ - საკანონმდებლო მაცნე.

<sup>40</sup> ხელშეკრულება №66.

<sup>41</sup> 383.8= 381.0+2.8

- „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლში ასახული უნდა იყოს 381.0 ათასი ლარის აქტივები. გამგეობამ 5.3 ათასი ლარის აქტივები, როგორცაა, ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენა, კეთილმოწყობის სამსახურისათვის ბენზინის მაღალი წნევის აპარატის შეძენა და სხვა<sup>42</sup>, არასწორად ასახა. აღნიშნული აქტივები ა(ა)იპ-ების მიერაა შეძენილი და შესაბამისად, მათ ბალანსზე უნდა აღირიცხოს.

- გამგეობამ 2016 წელს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის - MITSUBISHI MONTERO და MERCEDES BENZ, შეისყიდა 2.8 ათასი ლარის სათადარიგო ნაწილები. კერძოდ: აკუმულატორი, ამორტიზატორის ზამბარა, გადაბმულობის კომპლექტი, მქნევარა და სხვ. შესყიდვა გამგეობამ აღიარა ხარჯად და ასახა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებში, რაც არასწორია. აღნიშნული სათადარიგო ნაწილები ახანგრძლივებს სატრანსპორტო საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას და წარმოადგენს აქტივების არსებით გაუმჯობესებას. შესაბამისად, გამგეობას 2.8 ათასი ლარი უნდა აესახა „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლში და შესაბამისი თანხით დაერიცხა ცვეთა.

### **გავლენა**

- )/ ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, მუხლი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ცვეთის გარეშე) გაზრდილია 2.7 ათასი ლარით.
- )/ ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 2.8 ათასი ლარით გაზრდილია „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების“ მუხლი.
- )/ ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ცვეთის გარეშე) გაზრდილია 3.7 ათასი ლარით.
- )/ აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1) და წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი - ფორმა №3).

## **6.6 წმინდა ღირებულება**

**გარემოება №1:** ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი წარმოდგენილია 13 109.7 ათასი ლარით, წლის დასაწყისისათვის და 19 553.9 ათასი ლარის ოდენობით, წლის ბოლოს. ნაშთები არ არის მიღებული ბალანსის დანართ ფორმა №3-ით გათვალისწინებული გაანგარიშების შედეგად, რომელიც

<sup>42</sup> ხელშეკრულებები №№ 32; 15; 23; 3; 9; 116; 83.

შევსებულია არასრულად. კერძოდ, დანართის სადებეტო ნაწილში შეუვსებელია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, სადებეტო ბრუნვა და ჯამი; დანართის საკრედიტო ნაწილში წინა საანგარიშო პერიოდიდან არ არის გადმოტანილი ნაშთი წლის დასაწყისისათვის<sup>43</sup>, შეუვსებელია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლი, დანართის „შემოსავლების“ მუხლში არასწორად არის ასახული საბიუჯეტო შემოსავლები, არ ფიქსირდება საკრედიტო ბრუნვა, ჯამი და ნაშთი პერიოდის ბოლოს.

#### **გავლენა**

- ) მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლები, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში არ იძლევა წმინდა ღირებულების გაანგარიშების შესაძლებლობას.
- ) აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის სისწორეზე.

### **6.7 ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ**

**გარემოება:** ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №4-ში აისახება არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების საკასო და ფაქტობრივი ხარჯები. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილ ფორმაში ასახულია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული დაფინანსების საკასო ხარჯი.

#### **გავლენა**

- ) ბალანსის დანართი ფორმა №4 - „ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ“, შევსებულია არასწორად და არ იძლევა შესაბამის ინფორმაციას ორგანიზაციის ბუღალტრული გატარებების შესახებ.

### **6.8 ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ**

#### **შენობა-ნაგებობები**

**გარემოება:** ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, „შენობა-ნაგებობების“ მუხლში „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა“ წარმოდგენილია 2 983.3 ათასი ლარით. აღნიშნული მოიცავს ისეთ შენობა-ნაგებობებს, როგორიცაა, გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია, კულტურის სახლის მშენებლობა, საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა და სხვ. „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა“ მოქმედი კანონმდებლობით<sup>44</sup>, წარმოადგენს არაფინანსური აქტივების წარმოებას საკუთარი

<sup>43</sup> წმინდა ღირებულების ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე გაანგარიშებულია არასწორად.

<sup>44</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება: მუხლი 2, პუნქტი „მ“.

მოხმარებისათვის. აღნიშნული აქტივები არ არის შექმნილი საკუთარი წარმოებისათვის და წარმოადგენს შესყიდვას, მიმდინარე პერიოდის გადახდებით.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს მუნიციპალიტეტმა ფაქტობრივად შეისყიდა 3 219.7 ათასი ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა, რაც 236.4 ათასი ლარით მეტია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

### გავლენა

- ┌ ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „შესყიდვა მიმდინარე პერიოდის გადახდებით“ შემცირებულია 3 219.7 ათასი ლარით, ხოლო მუხლი - „საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა“, გაზრდილია 2 983.3 ათასი ლარით.
- ┌ ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „შენობა-ნაგებობების“ მუხლის საბოლოო ნაშთი (ცვეთის გარეშე) შემცირებულია 236.4 ათასი ლარით.
- ┌ დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №3).

## 6.9 ბალანსის დანართი ფორმები

**გარემოება:** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების მიხედვით, ორგანიზაცია ვალდებულია მოამზადოს ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, მათ შორის, ფორმა №7 - ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ, ფორმა №8 - ანგარიშებზე რიცხული კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ, ფორმა №9 - ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში და ფორმა №10 - ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში. ბალანსის აღნიშნული დანართი ფორმები ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ არ მომზადებულა.

### **გავლენა:**

- ┌ გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსური ანგარიშგება არასრულყოფილად არის წარმოდგენილი და არ მოიცავს ინფორმაციას (ბალანსის დანართი ფორმა №7, ფორმა №8, ფორმა №9, ფორმა №10).

## 6.10 ინვენტარიზაცია

**კრიტერიუმი:** „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების თანახმად<sup>45</sup>, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, საბიბლიოთეკო ფონდებისა და ასევე იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაცია ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ. აღნიშნული ქონებისათვის ბრძანებით განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების სხვადასხვა ვადა.

ინსტრუქციით დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები.

**გამოვლენილი გარემოება:** 2015-2016 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულია. შესაბამისად, არ არის მიღწეული მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მუნიციპალიტეტისათვის დაწესებული მიზნები:

- ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
- აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
- გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
- ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
- ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
- აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან და სხვ.

## სხვა საკითხების აბზაცი

### საბუღალტრო აღრიცხვის სისტემები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალიზებული სისტემა და გამგეობა ბუღალტერიას აწარმოებს ქაღალდზე. „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად<sup>46</sup>, დაწესებულის ხელმძღვანელი ნერგავს და განავითარებს სანდო, სრულყოფილ და ხელმისაწვდომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის შესახებ უახლესი და სანდო ინფორმაციის სათანადო

<sup>45</sup> 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

<sup>46</sup> მუხლი 14.

ხელმისაწვდომობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, მუნიციპალიტეტმა იმსჯელოს საბუღალტრო პროგრამის შეძენის მიზანშეწონილობაზე.

### აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

- ✓ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

ფორმა №1

## ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

ჩაბარების ვადა

i

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2017 წლის 1-ლი იანვრისათვის

ხომის ერთეული: ლარი

| კოდი                                       | აქტივები                                                                                    | ანგარიშის<br>ნომერი | წამით წლის<br>დასაწყისისთვის | წამით წლის<br>(დასრულის) ბოლოს |
|--------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|------------------------------|--------------------------------|
| 1                                          | 2                                                                                           | 3                   | 4                            | 5                              |
| <b>I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები</b> |                                                                                             |                     |                              |                                |
| 010                                        | ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში                                                      | 1110                |                              |                                |
| 020                                        | ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში                                                       | 1120                |                              |                                |
| 030                                        | მიმდინარე ანგარიში ზანკში ეროვნულ ვალუტაში                                                  | 1211                |                              |                                |
| 040                                        | მიმდინარე ანგარიში ზანკში უცხოურ ვალუტაში                                                   | 1212                |                              |                                |
| 050                                        | სხვა ანგარიშები ზანკში                                                                      | 1220                |                              |                                |
| 060                                        | მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ზანკში                                       | 1230                |                              |                                |
| 070                                        | ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის                               | 1240                |                              |                                |
| 080                                        | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის                              | 1250                |                              |                                |
| 090                                        | დეპოზიტები ზანკში ეროვნულ ვალუტაში                                                          | 1260                | 2565624                      | 4423187                        |
| 100                                        | დეპოზიტები ზანკში უცხოურ ვალუტაში                                                           | 1270                |                              |                                |
| 110                                        | ზანკის საგადასახადო ანგარიში                                                                | 1280                |                              |                                |
| 120                                        | სხვა ანგარიშები ზანკში                                                                      | 1290                |                              |                                |
| 130                                        | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა                                                          | 1310                |                              |                                |
| 140                                        | მოკლევადიანი სესხები                                                                        | 1320                |                              |                                |
| 150                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                                    | 1330                |                              |                                |
| 160                                        | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები                                                          | 1340                |                              |                                |
| 170                                        | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                     | 1351                |                              |                                |
| 180                                        | არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები                                                  | 1352                |                              |                                |
| 190                                        | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები                                 | 1353                |                              |                                |
| 200                                        | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით | 1354                |                              |                                |
| 210                                        | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ვექივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით           | 1355                |                              |                                |
| 220                                        | გადახდილი ფულადი                                                                            | 1356                |                              |                                |
| 230                                        | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი                                                       | 1357                |                              |                                |
| 240                                        | სხვა საგადასახადო აქტივი                                                                    | 1358                |                              |                                |
| 250                                        | მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ვექივალენტების დანაკლისებით                             | 1359                |                              |                                |
| 260                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები                                              | 1360                |                              |                                |
| 270                                        | მოთხოვნები მარტებით                                                                         | 1410                |                              |                                |
| 280                                        | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ                                                    | 1420                |                              |                                |
| 290                                        | მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით                           | 1431                |                              |                                |
| 300                                        | მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით                                          | 1432                |                              |                                |
| 310                                        | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით                                              | 1440                |                              |                                |
| 320                                        | არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით                                        | 1450                |                              |                                |
| 330                                        | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები                                                              | 1460                |                              |                                |
| 340                                        |                                                                                             | 1470                |                              |                                |
| 350                                        | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები                                                      | 1480                |                              |                                |
| 360                                        | გრძელვადიანი სესხები                                                                        | 1510                |                              |                                |
| 370                                        | აქციები და სხვა კაპიტალი                                                                    | 1520                |                              |                                |
| 380                                        | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები                                                        | 1530                |                              |                                |
| 390                                        | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები                                                                | 1540                |                              |                                |
| <b>II. არაფინანსური აქტივები</b>           |                                                                                             |                     |                              |                                |
| 400                                        | სტრატეგიული მარაგები                                                                        | 1610                |                              |                                |
| 410                                        | სხვა მატერიალური მარაგები                                                                   | 1620                | 405944                       | 449682                         |
| 420                                        | შენიშნული ნაგებობები                                                                        | 2110                | 8175606                      | 11538019                       |
| 430                                        | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი                                                            | 2120                | 1481272                      | 1195338                        |
| 440                                        | სხვა ძირითადი აქტივები                                                                      | 2130                |                              |                                |
| 450                                        | დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი                                                               | 2141                | 2535577                      | 3380870                        |
| 460                                        | საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება                                    | 2142                |                              |                                |
| 470                                        | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები                                                          | 2200                |                              |                                |
| 480                                        | ფასეულობები                                                                                 | 2300                |                              |                                |
| 490                                        | არაწარმოებული აქტივები                                                                      | 2400                | 207877                       | 392957                         |
|                                            | ბალანსი                                                                                     |                     | 15371900                     | 21380431                       |

| კოდი                          | ვალდებულებები და კაპიტალი                                                                | ანგარიშის ნომერი | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | ნაშთი წლის (ვარტლის) ბოლოსათვის |
|-------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------|------------------|----------------------------|---------------------------------|
| 1                             | 2                                                                                        | 3                | 4                          | 5.00                            |
| <b>I. ვალდებულებები</b>       |                                                                                          |                  |                            |                                 |
| 500                           | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები                                                     | 3100             |                            |                                 |
| 510                           | საჭილისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                               | 3210             | 273384.76                  | 97893                           |
| 520                           | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები                                              | 3220             | 2535577.00                 | 3380870                         |
| 530                           | ვალდებულებები ბარტერით                                                                   | 3230             |                            |                                 |
| 540                           | გადასახდელი მოვების გადასახადი                                                           | 3241             |                            |                                 |
| 550                           | გადასახდელი დღგ                                                                          | 3242             |                            |                                 |
| 560                           | გადასახდელი სამუშაო საგადასახადი                                                         | 3243             |                            |                                 |
| 570                           | სხვა გადასახდელები                                                                       | 3244             |                            |                                 |
| 580                           | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები                                                  | 3245             |                            |                                 |
| 590                           | მტკიცებით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                             | 3251             |                            |                                 |
| 600                           | მტკიცებულებით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები                                         | 3252             |                            |                                 |
| 610                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით                                                  | 3253             |                            |                                 |
| 620                           | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ                                                   | 3254             |                            |                                 |
